

572 /
1982 / 2

542 / 2

54



1982
0153140
N1

ბიჭუნა

და

ლენინი

ს. მინაძე

გარკანზე ხედავთ თოვლში გახვეულ ქართულ სოფელს. ასე წარმოიადგინა განახლებული თუშეთის ზამთრის სოფელი ცნობილი მხატვარმა ედ. ამბროკაძემ. თუშეთი საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი კუთხეა. იქ წინათ ბევრი სოფელი იყო და ხალხი უმეტესად მესაქონლეობას მისდევდა. შემდგომ თუშეთი თითქმის მთლად დაიცალა. ახლა გადაყვდა თუშეთი კელაქ აღორძინდეს, ხალხი მიტოვებულ სოფლებს დაუბრუნდეს, გამრავლდეს საქონლეობა. მარშან დასრულდა გზის მშენებლობა — თუშეთში საავტომობილო გზატკეცილი შევიდა, შენდება სახლები, იწყება მრეწველურ ცხოვრება. ბევრი ასეთი სამომავლო საქმე გაუეთდა საქართველოში მარშან. «დიდამ» უკვე გაიმართა უდაბნოში განახლებულ სოფელზე, მარაბდა-ახალციხის რკინიგზაზე. ჩვენ კვლავაც არაერთხელ გვსაუბრებით ასეთ დიდმშენებელთან ამბებზე.

კიდევ უფრო თავალსაჩინო წარმატებებს ველით 1982 წელს, გათყვანო გზებს, ავაშენებთ ქარხნებს, სკოლებს, სახლებს. მოვიყვანო უხე მოსავალს, წინ წავა ჩვენი შენიჭებება, სელოურება, სპორტი. სახელოვანი ზეიმი იქნებათ თქვენს უფროს ძმებსა და დებს — საბჭოთა პორწერია იზეიმებს ჯაარსებოს წმლისთავს. აპარლში საქართველოს კომპარტიის დიდი თავყრილობა გაიმართება.

თქვენ კი, ჩვენი პატარა მეგობრებო, ჯერჯერობით გმარობთ კიდევ უფრო დიდი ხალხისთ გააჩალოთ ოქტომბრული საქმიანობა. იყავით დამჯერები, ბეჯითად, ბუჯითად ისწავლეთ. რადგან ძალიან მალე თქვენე ჩაებმებით საქმეში და საამისოდ დღეიდანვე უნდა მეგზადეთ თავი.

1921 წლის აგვისტოს ერთ თბილ დღეს, გორკასში. სიადე მაშინ ვლადიმერ ილიას ძე ისვენებდა, სოფელ იამიდან პატარა ბიჭუნა მოვიდა და დიდ სახლთან ვილაქ კაცი დაინახა.

ბიჭუნა არ დაიბნა, მიუხელოვდა უცნობს და ეკითხა:

— ძია, ამბობენ, ლენინი ამ სახლში ცხოვრობსო, მართალია? იცით, როგორ მინდა ლენინის ნახვა?

— რაკი ევრება, —თავიანად მიუგო ძიამ, — ლენინი მგ ვარ.

ბიჭუნა სცილიდა არ ეყო უცნობის პასუხი:

— შენ როგორ ექნება ლენინი? ლენინს, აღბათ, წაგის ჩეგმები აცვია და ჩაისთანა უბრალო ჩუსტებს არც ეკადრებს. აბა, ერთი დაფოქრდი, ლენინი ასე ჩაცმული იცლის? არა, შენ ლენინი არა ხარ.

ძია იღმება, ბიჭუნა კი არა და არ ეუბება.

— ნამდვილად შენ თვითონაც ლენინთან მოხვედი. ვიცი, ვიცი. შენც იმას ელოდები, მაგჩამ ლენინს შენთან სალაპარაკოდ სიად სცალია. საქმეები ევლაშდე აქვს!

ამ დროს დიდი სახლიდან ვილაქ ქალი გამოვიდა და უცნობს ძიას მიმართა:

— ვლადიმერ ილიას ძმე, ცივა, შინ შემობრძინდიო!

ვლადიმერ ილიას ძმე ბიჭუნას მხარზე მოთათუნა ბელი:

— მეგობარო, მგონი დროა, შენც წახვიდე შინ.

ვლადიმერ ილიას ძე შინ შევიდა, ბიჭუნა კი ფეხს არ აცვლიდა, ისევ ისე იჯდა მოლზე სახლთან.

ზის ბიჭუნა, ზის და ფიქრობს: «წინ იცის, ექნებ მართლაც ეგ იყო ლენინი!» ცოცხა ხნის შემდეგ ქალმა ისევ გამოიხედა საჩქელიდან.

— შენ კიდევ არ წასულხარ, ბიჭუნავ!

— არა.

— წადი, გვიაინა.

— არა, არ წყველ, ლენინი უნდა ვნახო!

— კი მაგრამ, აკი ნახე, ახლა არ გვლაპარაკავ?

— არ ვიცოლი, რომ ლენინი იყო, კარგად არც შემიხვედას.

— წადი, შინ წადი, უკვე დედაშენი გეძებს. სხვა დროს მოდი.

ბიჭუნა თვის სოფელში გაიქცა და ამხანაგებს უამბო, ეს-ენ არის ლენინი ვნახე, მწვანე სატინის პერანგი და უბრალო ჩუსტეო. ეცვაო-მეორე დღეს დაახლოებით იმავე დროს, გორკასში, დიდი სახლის ქუჩაქას სოფელ იამიდან ხამი ბიჭუნა მოადგა. მათ შორის ის ფეხშიშველი ბიჭიც იყო, წინა დღით ლენინი რომ გაიცნო. ახლა უკვე ხამის წამოსულუყვენ ლენინის სანახავად. უნდოდათ, რაც შეიძლება უკეთ შეეთაღიერებინათ იგი, მაგრამ იმ ქალმა, წინა დღით რომ ბიჭუნას უჩრია, ახლა წადი და სხვა დროს მოდიო, ბავშვებს უთხრა:

— ლენინს შეგბულემა გაუთოვდა და კრემლში დაბრუნდა სამშუაოდ. როცა კიდევ ჩამოვა გორკასში, ია, მაშინ მოდით და ნახეთ.

თავი ჩაქინდრეს ბიჭებმა. აქ თუ ვერ მოახერხეს ლენინის ნახვა, კრემლში იმას ვინა შეუშვებდა მათ!

ძალიან დალონდნენ, გავიდნენ გზაზე და დიდახს იურებოდნენ იქით, საითაც თურმე ლენინი გაემგზავრა.



ქ. შარჭიის ნახ. სივ. სივ.

ძალიან კეთილი ბებია მყავდა, კეთილი, ავკარგიანი და ალალი. სოფელში იტყოდნენ ხოლმე, ბებიაც ისეთი უნდა, ნინო კობიაშვილი რომ არისო — კახას ბებიაო. ნინო ბებია საღამოობით უბნის გოგო-ბიჭობას მოგვისხამდა გვერდით და ძველ ამბებს გვიყვებოდა, ძველ ამბებსა და ნაირ-ნაირ ზღაპრებს. ის ამბები და ის ზღაპრები ისეთი საინტერესო იყო, თანაც ისეთი მხიარული, ხან გასუსულები ვუსმენდით, ხანაც ვკვდებოდით სიცილით.



• მალინი • სლოუგერი

მაგრამ უფრო საოცარი სხვა იყო: ნინო ბებიას ზღაპრებში ვერც ბოროტ ჯადოქარს შეხვდებოდით, ვერც დრეჯოლბიან კაციჭამია ღვეს. დევიც კეთილი იყო, მოსიყვარული: ყურს როგორც კი მოკრავდა, ამა და ამ უღრან, დაბურულ ტყეში გოგონას გზა დაკარგვიაო, მაშინვე ხეების ლანალუნით გარბოდა მისაშველებლად — მე შენ გეჭყვი, სირბილი არ ემარჯვებოდა! მარტო ეგ კი არა, მანანწალა მგელს ნანამდე მიასწრო დეგმა, ვიდრე ჩვენს წითელქუდას ბებიას შეუჭამდა: რაო, რაო, ჯერ ბებია უნდა შეჭამო, მერე წითელქუდაო?! შენაო უპატრონო ხომ არა გგონია ან ბებია. ან შვილიშვილი? — გასაქცევად შეტრიალივბულ, შიშით დაფეთებულ მგელს უკანა ფეხებში ჩაავლო ხელი, გამეტებით მოიქინა და, რომ არ მოგატყუოთ, ზუსტად ცხრა მთას იქით მოისროლა. მაშ!...

ჰოდა, ერთხელ აგუგუნებულ ბუხართან, აი, რა გვიამბო ნინო ბებია:

— იმ ახალი წლის ამბავი ახლა, ამ ახალ წელს რომ მოგიყვებით, არასოდეს არ დამავინწყდება. როცა მარტო ვარ,

მაშინაც მახსენდება და მეღიმება, თან აქეთ-იქით ვიხედები შიშით, არავინ დამინახოს-მეთქი. არ იტყვიან, მარტოა და რა აცინებსო?! ჯერ მეღიმება, მერე მანადვლიანებს.

იმ ძველ დროს ტანსაცმელიც გვიჭირდა, პურიცა და მარილიც; არც სკოლები იყო და სკოლაში საიდელა ვივდიოდით. რაკი სკოლაში არ დავდიოდით, ნიგინც გვეუცხოებოდა. ღარიბები ვიყავით, მაგრამ სადღესასწაულოდ, ბედნიერ დღეს რომ ვეძახდით, ყველაფერი გვექონდა. არც იმ ახალ წელს გვკვებია ჩურჩხელა, გოზინაყი, რბილი შოთები და ხმელი ხილი.

მაშინაც შუალამისს დადგებოდა ხოლმე ახალი წელი. გარეთ გავიდოდნენ, კარში გაიტანდნენ გატენილ თოფსა და სროლით ისტუმრებდნენ ძველ წელს. მერე შემოვიდოდნენ და გოზინაყს გვირიგებდნენ ჯერ ბავშვებს, მერე დიდებს; — ასე ტკბილად დაბერდითო.

დილით კი უთენია, სულ პირველად ოჯახის უფროსი უნდა ამდგარიყო ლოგინიდან. ოჯახის უფროსი ყველაზე ხნიერი კაცი იყო ოჯახ-

ში. ადგებოდა უთენია და დანთებდა ცეცხლს. ისე დაანთებდა, არ შეუბერავდა, ვითომ რომ შეუვებრო, წინილები დაგვებერება და დაგვეხოცებაო. ცეცხლის დანთება იმიტომაც ჭირდა, რომ ასანთი არ მოვეებოდა, ნაღვერდალს ნაცარში ვხვევდით და ასე ვინახავდით.

აბრიალდებოდა ცეცხლი და მაშინ ოჯახის უფროსი აიღებდა დიდ მუგუზალს, გავიდოდა ეზოში და შემოკრავდა ხეს. ნაპერწკლებს რომ გაპყრდა მუგუზალი, იტყოდა: არ დაგელიოს ამდენი შროხა, ამდენი ხარი, ამდენი ცხვარი, ქათამ-ინდური, სიხარულიო...

მამაჩემიც ასე მოიქცა, მერე შემობრუნდა და თქვა:

— წუხელ თოვლი მოსულა, სულ თეთრად ქათქათებს ყველაფერი.

წამოვცვივდით და ფანჯრებს ვეცით: მართლაც ჩამოეთოვა. მერე მამაჩემმა ნაჯახი აიღო და ისევ გარეთ გავიდა.

დედაჩემი გაპყვა.

ბავშვები კი ისევ ფანჯრიდან ვიყურებოდით, გვიდოდა გაგვეგო, რა მოხდებოდა.

ერთი მენლურნი ხეჭექაური გვედა, მივიდა მამაჩემი და იმ მსხალს შემოჰკრა ნაჯახი. ერთხელ შემოჰკრა, მერე და მესამედაც რომ უნდა შემოეკრა, დედაჩემმა ტარზე უტაცა ხელი:

— რა დაგიშვა იაგორ?

— რატომ ყოველ წელიწადს არ ისხამს?

— ოღონდ არ მოჭრა და დაისხამს.

— კარგი, — თქვა მამაჩემ-

მა, — ამ ერთხელ ვაპატიებ და თუ ყოველ წელს არ დაიხსნა, მოვჭირი, უეჭველად მოვჭირი!

მამაჩემმა ნაჯახი შინ შემოიტანა და ღუმელს მიუშვია ხელები.

დედაჩემმა სუფრა გაშალა და თქვა:

— იაგორ, იმ ბატს რას უშვებები?

— გავალ, მივხედავ, — თქვა და ნაჯახი აიღო.

მამაჩემი გავიდა ეზოში და ჩვენც გავყვეით. გავედით ეზოში და რას ვხედავთ: აგერ, ცხვირწინ, კალოებზე მელია არ გარბის?! ერთი ბატი გყავდა, დაუჭერია ის ბატი და მიარბენინებს. მელია პატარა იყო და დიდ ბატს ძლივს მიათრევდა.

— ვაიმე, ჩემი ბატი წაუყვანია! — ატირდა ვასო.

— ნეტა, სად დაიჭირა? — იკითხა სოსიამ.

მამაჩემმა ნაკვალევს გააკოლა თვალი და გაცინა:

— მარნიდან გაუყვანია და მაშინ ჩვენი მეკვლეც ეგა ყოფილა.

ამ დროს ჩვენი მეკვლე მამასახლისიც მოვიდა. ასე და ასე დაგვემართა, მელიამ ბა-

ტი მოგვტაცაო, უთხრა მამაჩემმა, და მერე ყველას მოგვიბრუნდა, — შევიდეთ შინ, დავილოცოთ. ახალი წელი მომილოცნიაო.

რალას იტყვოდა მამასახლისი, მეკვლე უკვე მელია იყო და რალას იტყვოდა — და მაგიდის თავში დაჯდა.

მამაჩემმა აიღო ყანწი, ღვინით გააპიპინა და ახალი წელი კი არ მოგვილოცა, ჯერ სხვა თქვა:

არ გეგონოს ელიაო, სიტყვა შემომელიაო: მინდა ამით ვადღეგრძელო მელაკუდა მელიაო.

ვუდღეგრძელებე ოჯახობას, გრძელ კუდსა და

ლეკვებსაო:

ბატი ისე შეეჭამოს,

როგორც თხა სჭამს

ნეკერსაო.

კარგზე კარგი ჭკონდეს,

მეტს არ ვითხოვთ

ჭკონებსაო:

ბევრი ხალისს შემნატროდეს,

უფრო ბევრი — გონებასო.

ყველამ უნდა

ადღეგრძელოთ,

ნუ იქნებით უარსაო:

ისევ მელა მირჩენია

ზოგ უფარგის სტუმარსაო.

დალია და ალავერდს მა-

მასახლისთან გადავიდა. მამასახლისს არ ესიამოვნა მელიის სადღეგრძელო, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა; წყენინება და ჩხუბი არ შეიძლება ახალ წელს. იმანაც გაავსო ყანწი, გაუმარჯოსო, თქვა და დალია, დალია, მაგიდაზე დადო ცარიელი ყანწი და წავიდა.

მამაჩემი ღიმილით გაჰყვა, — ცოტაზე გავაცილებო. ასე იყო ეს ამბავი.

ქაბ ლ კოზაჩიკი



ბუზანკალი

ერთხელ გამოიღო

მინდორ-ველებზე
რემბა ბალახს წყნარად ძოვდა,
აცხუნებდა თაკარა მზე,
ნიავიც კი არა ქროდა.
ბევრ ცხენს ერთად რემბა

ქეცია,
მთავიც, ბარშიც ნახავთ
რემბას...
ბუზანკალმა თუ დაკვირა,
ცხენმაც იცის გადარევა.
პოდა, ერთი ბუზანკალი,
დაგვალული, წრიპა,
უცბაბდად თეთრ იორღას
მიიწეობა, როგორც ტკიპა.
დაწესტრა და
დაგესლა და
კუდთან ეწვს ცხენს,
ბუზანკალი ახლა ყურში,
ახლა ცხვირზე კბენს.
თაფ-კისური შეიბერტყა,
ძუა-კუდიც მოიშველა,
ვერ გააფრთხო ცხენმა

მაინც,
ველარც მწარეს
უძლებს კბენას.
უცბე ტყუპი ნიხლი ყარა,
შესწიხვირა გააფრთხობით,
ადგილს მოწყდა და

გაფრინდა,
გამოუსხა თითქოს ფრთები.
ის კი — ერთი აბეზარი,
გუსლიანი მწერი,
რაც ხმა ჰქონდა,

წრიპინებდა:
— პერი, ბიჭო, პერი!
შემომხევეთ ცაც და მინაც,
ეკალო და ნარო,
რა მხედარი, რა მხედარი,
რა მხედარი ვარო!

ჩემი მჯობი ვინ იქნება,
გადვიქროლებ ნამში
მინდორს,
დალი გინდეთ?

აქა ვარ და -
ვისაც უნდა გამეჯიბროს! —
თუ ჭკვიდან არ გადასცდა,
თუ არ არის მართლა
მთვრალი,
რა მხედარი უნდა იყოს
ეს ბუზილა ბუზანკალი.

ანაორ აბულაშვილი



ცხენის ზურგზე არც კი
მოჩანს,
თუმც ორ ფეხზე კინჩად
დგებდა,
ან იმის ხმას ვინ გაიგებს,
სულ ტყუილიად იჭაჭება.
ის კი მაინც,
ის კი მაინც,
სიცხით მთვრალი მწერი,
რაც ხმა ჰქონდა,
წრიპინებდა:

მხედარი

მხედარი თამაზ ხუციშვილი



— რას დამაკლებს მტერი!
გზა მიტოვებ სუყველამო;
ლეღე, ბეყო, ხრამო,
ენგურო და ალაზანო,
რინინო და მტკვარო,
შემომხევეთ რა მხედარი,
რა მხედარი ვარო,
რა ვაჟკაცი,
რა მამაცი,
რა დევმირი ვარო,
ყველას მძლევი და მომრევი

ერთადერთი ვარო,
გზა მიტოვებ, გზა მომეცი,
ავდარო და დარო,
დღეც წყნარო და
დღეც უქარო
და შენც ნიაქარო —
თან აფრინდა,
თან დაფრინდა,
ხან — ბოლოდან,
ხან — თავიდან,
იმ საყოფაც ცხენის ზურგზე
მალაყებს გადავიდა...
და პა, სწორედ,
სწორედ ამ დროს —
ეშმაკად და კვიმბად,
როცა სიცხემ შუადღის
უფრო, უფრო იმატა,
ერთი ჩიტი საიდანაც
აქეთ გამოფრთხილდა,
თითქოს ნამში ცა

დაბნულდა,
მუხმა გადიგრილა...
ერთი ციცქნა ჩიტი იყო,
ტუდი ჰქონდა სწენა,
თანაც კარგად არ იცოდა
იმ ბუზანკლის ენა,
ამიტომაც ვერ გაიგო —
იგი ბუზი-ბუზანკალი
ასე ყოფინ-სიმღერით რომ
ცხენზე გამოჯიშულიყო,
თუ ასეთი გმირი იყო,
თუ ასეთი მამაცი და
თუ ასეთი ვაჟკაცი და
თუ ასეთი ბაყბაყდევი —
ყოელის მძლეუთა მძლევი
იყო.

თორემ როგორ გაბედავდა,
გმირს და ვაჟკაცს,
მამაც მხედარს,
მოყვირინეს, მოჯიბრინეს,
ახლოს როგორ ჩაუფრინდა.
მაგრამ რაკი ჩაუფრინა,
მაგრამ რაკი დაიხახა,
არ დაგიდევს თურმე ჩიტი,
დევთ ხარ თუ
ვინ ხარ, რა ხარ...
და ნისკარტი გამომეწყვდა
ის ბუზილა ისე სწრაფად...

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფტვილი აქა.

შენი ოცბანიზმი



ა. დროინობი

ჩემო პატარა მკითხველო! აი, შენ ხელში უწრნალი გიჭირავს, თითები ფურცლავენ მას. თვალები ხედავენ და არჩევენ ასობს, თავი, უფრო სწორად ტვინი, იაზრებს სიტყვების და წინადადებების მნიშვნელობას... ანდა, აი დედა გეძახის! ყურებს ესმით მისი ხმა, ბაგეები დაუყოვნებლივ პასუხს აძლევენ, ფეხები კი გარბიან დღის დაშახილზე. თითქოს ყველაფერი მარტივია, მაგრამ იცი

ამ დროს რა რთულ სამუშაოს ასრულებს შენი ორგანიზმი, დაფიქრებულხარ როდისმე, როგორ ხდება, რომ შენ შეგიძლია თუ გინდა დადგე, თუ გინდა წახვიდე, ან დაჯდე, დანვე თუ გაიქცე; როგორ ხდება, რომ შენი ხელები, ფეხები, თვალები ხედავს სხეულის სხვა ასობები შენს სურვილებს დაპყვებიან?..
იცი, რატომ არის, რომ ერთ ნუთსაც ვერ გაძლებ,

თუ არ ისწვთქე? ან რატომ ხდება, რომ ზოგჯერ ფეხები არ გემორჩილება და თვალები გეხუჭება? რამდენი, რამდენი საინტერესო შეკითხვა დაგებადება, რომ დაფიქრდე ამაზე. პასუხს კი ვერ გასცემ, თუ არ იცი, როგორია ადამიანის ორგანიზმის აგებულება.
ადამიანის სხეული კანით არის დაფარული. კანქვეშ კუნთებია განლაგებული. მათი დახმარებით ჩვენ მრავ

ვალგვარ მოძრაობას ვასრულებთ.

შენ იცი, რომ გაქვს გული. ხშირად გესმის ხოლმე მისი აჩქარებული ცემა სირბილის ან სწრაფი მოძრაობის დროს. ფილტვებით სუნთქავ, კუჭით საკვებს ინელებ. მაგრამ კიდევ რამდენი საჭირო ორგანოა შენს სხეულში — ღვიძლი, თირკმელები, ელენთა, ჯირკვლები, გრძნობის ორგანოები: თვალები, ყურები, ცხვირი, ენა... შეუსხვენილივ დარბის შენს სხეულში სისხლი... მიელ სხეულზე ბავლესავით მოდებულა უზერილესი ნერვების ხლართი, რომელიც მიიმართება მთავარი ორგანოსაკენ — ეს გახლავთ საიმიერო ჯავშანში — თავის ქალაში მოთავსებული ტვინი. ყველაზე ღრმად სხეულში ჩამალული არიან დიდი და პატარა ძვლები. ისინი ერთმანეთზე არიან ასხებული და ქმნიან ჩონჩხს, რომელიც ადამიანის მთელი სხეულის საყრდენია, როგორც რაიმე შენობისთვის კარკასი.

ადამიანის სხეულს თავისი ტემპერატურა აქვს. ჯანმრთელი ადამიანის ტემპერატურა სიცხეში თუ სიცივეში ერთნაირია: 36 გრადუსნახევარი. ავადმყოფობისას ტემპერატურა მაღლა იწევს. რატომ?

საჭმლის, წყლის ან ჰაერის საშუალებით ორგანიზმში ხვდებიან მიკრობები, ბაქტერიები ან ბაცილები. სისხლში მოხვედრისას ისინი დიდი სისწრაფით მრავლდებიან, მაგრამ ორგანიზმის დამცველი ძალები ცხარე ბრძოლას უმართავენ მათ. აბა დააკვირდი! უძველესი თითი გაიჭყერა, ის ადგილი გაკინთოდება და ძლიერ გიხურს. სწორედ აქ წარმოებს ხელჩარ-

თული ბრძოლა დამცველ ძალებსა და მავნე მიკრობებს შორის. თუ შენმა დამცველმა ძალებმა ვერა და ვერ შეძლეს მიკრობების დამარცხება, და მათ დაარღვიეს დამცველი სფერო, ბრძოლა უფრო ცხარე ხასიათს მიიღებს და ორგანიზმში ტემპერატურა ნორმაზე მაღლა აიწევს. ტემპერატურას თერმომეტრით იზომავენ, მაგრამ სხვა ხერხითაც შეიძლება შეიტყოს ადამიანმა ავად არის თუ არა. ერთი ნუთით შევადართ ჩვენი სხეული ავტომდენიანს. საჭესთან მჯდომი მძღოლი ყოველთვის აკვირდება პატარა ლურჯ წერტილს — სპიდომეტრს, რომლის ისარი მიაჩნდება მას, თუ რა სისწრაფით მიქრის მანქანა. ასეთი „სპიდომეტრი“ ყველა ადამიანს გააქვს. ეს არის ჩვენი ორგანიზმის ცოცხალი მრიცხველი — პულსი, ანუ მაჯისცემა, რომელიც გულისცემის სიხშირეს გადმოსცემს. წამშვომი მოიმარჯვე და მაჯაზე თითი დაიდევ. გაიგოვს ზომიერ, შენელებულ ან აჩქარებულ ფეთქვას. ჯანმრთელი ადამიანის გულის ცემა წუთში 70-80-ია. სირბილისა და სწრაფი მოძრაობის დროს პულსი გაცილებით მატულებს, მაგრამ დროებით; შემდეგ ის ისევ ზომიერ ფეთქვას იწევს, მაგრამ თუ აჩქარებული გულისცემა დიდხანს არ შენედა, ეს იმას ნიშნავს, რომ შენთვის რთული ვარჯიში და სირბილი მავნეა. საინტერესოა ადამიანის წონაც. უნდა გაიგო წლოვანებისა და სიმაღლის მიხედვით რამდენი უნდა იყოს შენი წონა — რამალური წონა და თუ წონაში გაკლია, ჭამას უნდა უმატო. ხოლო თუ წონაში სა-

გრძნობლად მომატებულ ხარ, ტკბილეულობისა და ნაძიკვრის ჭამას ერიდე, ბევრი ირიბე და იმძრავე. ორგანიზმისათვის აუცილებელია კიდევ ერთი რამ: დღის განრიგის ზუსტი დაცვა.

გუშინ ხატით გაატყებულს დაგავინყდა, რომ ჩვეულებრივ სამ საათზე სადილობ. პირში ნერწყვი მოგადგება, იმტომ, რომ შენი ჯირკვლები შეჩვეულია ჭამის წინ საჭმლის მოსანელებელი წველის გამოყოფას. ანდა საღამოს წიგნს კითხვით გაერთე, თვალები კი გეხუჭება, მოქნარება გატყდა. თურმე 9 საათია, შენი ძილის დროა და ტვინმა გამცნო ეს. შენს ორგანიზმს არ უყვარს შიდა განაწესის დარღვევა. ამიტომ ეცადე დღის განრიგი ზუსტად შეასრულო, თორემ ორგანიზმი აგინებდრება — ჭამის დროს მადა დაგეკარგება, დასაძინებლად მოემზადები და შილი საღაღაც გაქრება. დილას სკოლაში წასასვლელად ადგომა დაგეზარება. რა მოხდა? ორგანიზმი „მოითხოვს“ დამორჩილებას. მუდამ გახსოვდეს! თუ სწორად განაწილებ დღეს — თუ გაკვეთილებს დამზადებას, თამაშს, კითხვას, ჭამას და ძილს თავ-თავისი დრო ექნება, მაშინ მუდამ ჯანმრთელი, მხნე და ხალისიანი იქნები.

მომდევრო წომრებში შევეცდებით აგისნათ, როგორ მუშაობენ ადამიანის ორგანოები და რა მოვალეობა აკისრიათ მათ... დაკვირვებით ნაიკითხეთ და მასალები და თუ რაიმე კითხვები დაგებადათ, მოგვწერეთ.

თაკენა ელ. გოჩხაძემ



ტყევეთ

მანიკა თანავილი

ეს მოქიქურა და ღვამიწის
გაგმობარა თეთრი მანდილი:
მთგავანებზე თოვლის ბაბულებს
მუხის ხეები ჩამობარნილი.
ლულე აივსო ირმების ჯოჯობი,
შველიც გამორწნა დანამკრულ ტყეში,
მინდა მათ თოვის აწები მიგართვა
და დაეპურხო ჩიტები პეშვით.
თან გავიყოლო ყველა პატარა:
თინა, თემური, ნინო და ანუც,
ტყე გარინული თანმშობის ნიწნავ
გამოგვაფლავს მადლიან თვალებს.

პაპა და პანო

ნოლაზა შაბანაძე

— რაც მართალია, მართალია,
ვანო, ცუდი ზამთარია!..
— პაპა, თოვლი შეენის ზამთარს!..
— კი, ბატონო, შეენის მართლაც!
მაგრამ ქარი რომ არ ჩაგვია!
რა ოხრობამ ვადგარია,
ფეხი ვეღარ მოუცვლია
თბილ ბუხრიდან ადამიანს.
პაპას ვანო აღარც უსმენს,
გარეთ გაბრის თბილამურით.
ქარში, თოვლში და ნამქერში
ისმის ზაფხუთა ქრამული.

გამთარბი

მეზვენი ხაბთაია

არაჭაღა, მარაჭაღა,
თოვლი მოვიღს—ბარაჭაღა!
გულმათბენ პატარობა—
აქვთ ვანო, რქით გაღა.
აღმა—აღმა,
ზევით, ქვევით—
გადადიან ურამაღა,
ხან ერთს მისუვებს, ხან მეორეს—
მურციკდა დიღაღა.

17105



**წმინდა შინაგარეთ და
პილნიძე**

პანინი მანანია

გაიღვივებ, ნინოც!
წამოღვივებ, გოგონა!
წუხელ მღვთს დაგაძინებ,
ანდა ძილი მოგინდათ?
ღვამე ტყბიღვთობა
დაგვიღვთობა
ღვამეღვთობა.
ჩინიღვთობა კი გვთვლი
თოვლის პაპა მოგვინდათ...
თოვლის პაპაც მოვინდათ,
თოვლის პაპაც მოვინდათ.
აბა, თქვენზე უკეთესს
პაპა ვის იპოვებთ?
თეთრად გამოანათა
თეთრი თოვლის თოვლიდან.
ცივან ცივათ ფიფქები,
ფარფარით და თრთოვლითა.
თეთრი წვერის დანაბეჭდ
გაანათა ნორჩები...
ჩურჩინებელი მოგართვით
სურჩინით და ხინჩინით,
ნარი-ნარი კანფეტებს
ჩამოშლიათ ფიფქები.
გარეთ გამოფიქვით,
საუბნებს რომ მოვინდათ...
სათამაშო ბეჭობა,
საჩემო და საშენო.
წყე შეგვართ და ვიღვინოთ
თოვლის პაპის გარშემო.

ღაჯა

კლანძის შაბანაძე

როგორც კი ირივება,
ისე დაბნება თოვდა.—
ჩემი ორი წლის ღაჯა
ეზოში გასვდა მთხოვდა.
გარეთ ნამქერი დახვდა,
ფეხზე მოუქვო ხუნდავ:
გაბრაბდა ბოჭი—ზამთარს
ისროლა... თოვლის გუნდა.

ციყვიბი

ავთანდილი მინაძე

გულფეშფეშდა ციყვი აჭებს
ფლანს ტყეში ბილის გამაქვს.
ტაბნას უხს თბილს და გაგელს
ქობილთ ამტრეფს, თათით არჩეფს.
აქმაყუნებს ღამბ ტურქებს,
ციყვენიბი უსუბეს გვერით.
ღოჯავს თავის პაწაწინებს:
— ასე ტყბიღვ დამბეჭდობ!

ქ. შარტავა მხ. ნაჭ. სპრ.
სახელმწიფო კრესანდოლო-
ბავშვთა თეატრის სკოლა

დიტო



მალური ფედიკი

მხატვარი ოთარ ჩხატარაიანი

იმ ღამეს დიდხანს არ ჩანდინებიათ დედასა და დიტოს, — ხუმრობა ხომ არ იყო, დილით პირმშო პირველად მიდიოდა სკოლაში.

შფოთავდა მშობელი, ცქემუტავდა შვილი.

როდის-როდის ჩაეძინათ.

— გაიღვიძე, გენაცვალე!
— თაეზე დაადგა დედა დილით.

— აუ! — საბანი გადაიგდო დიტომ, წამოვარდა.

პირი დაიბანა — განუხანა პერანგი უკულმა გადაიცვა. ყაითნები ულაზათოდ გაინასკვა.

— დედი, შემომხედე!

— დედა გენაცვალოს! მოდი, ცოტას შეგეშველები. აბა, ახლა კი ისაუზმე.

ბიჭს ტურ-ნიკაზე ცხიმი აუციმციმდა. ღამბაქუზე ჩაიდავლვარა.

დედამ ტილოს დასტაცა ხელი.

მერე მოაბრუნა, მიაბრუნა ბიჭი, ზურგჩანთა მოარგო.

რის ვიი-ვაგლანთი გააღწიეს გარეთ.

დედამ ფეხი აუწყო დიტოს და ხელიხელჩაკიდებულნი პანკაპუნკით წავიდნენ.

ჰაერი ცინცხალი იყო. ცის ბორბალი — მრგვალი და მაღალი.

— აბა, შენ იცი, თუ კარგად ისწავლი და გამაზარებ!

— კი დედა! — უპასუხა დიტომ და ერთი ციციქნა ხელი ხელზე მოუჭირა.

— მაინც რა ნიშნებზე ისწავლი? — დიმილით ჩაეკითხა დედა, სვლა შეანელა და საქორჩეზე ეამბორა.

ბიჭმა მხრები აიჩქა, თითები გაპარჭყა, — ჯერ კიდევ არ იცოდა, როგორ ფასდებოდა სწავლა.

დედამ შვილი შეაჩერა, ზურგჩანთა მოხსნა, შეატრიალა და შეახედა. ზურგჩანთაზე დიდი ხუთიანი ეხატა.

— აი, ჩემო ბიჭო, ხუთიანებზე უნდა ისწავლო! — უთხრა და ჩანთა კვლავ აპკიდა.

— არა, დედი, მე ხუთიანებზე არ ვისწავლი! ათიანებზე ვისწავლი, ათიანებზე! — წამოიყვირა დიტომ, დედას ჯილა თვალები შეაშუქა და სკოლის ეზოში შევარდა.

დიტომ თვლა და კითხვა ჯერ მხოლოდ ათამდე იცოდა...

საქმის შედეგად დასაწყისად დასაწყისად დასაწყისად დასაწყისად დასაწყისად დასაწყისად დასაწყისად დასაწყისად დასაწყისად

ჩემო პატარა მეგობარო, შენ რომ დაიბადე, მრავალ სხვა საქმესთან ერთად შენს მშობლებს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საზრუნავიც გაუჩნდათ, — შენთვის სახელის დარქმევა.

საკუთარი სახელი სჭირდება არა მარტო ყოველ ადამიანს, არამედ შინაურ ცხოველებსაც, აგრეთვე სოფლებს, ქალაქებს, ქუჩებს, მდინარეებს, მთებს... უამისოდ ერთმანეთის გაგება ძალიან გაგვიჭირდება. და არა თუ გაგვიჭირდება, ხშირად გამოუვალ მდგომარეობაშიც კი აღმოგჩნდებოდი.

ამიტომ, როგორც კი ბავშვი დაიბადება, იწყება რჩევა, — რა დაარქვან ახალშობილს. ეს არ არის უბრალო საკითხი, რადგან სახელი სამუდამოა, მას ტანსაცმელივით ვერ გამოიცვლი.

რასაკვირველია, ყველას სურს, თავის შვილს კარგი და მოხდენილი სახელი დაარქვას, მაგრამ ზოგს ერთი სახელი მოსწონს, ზოგს — მეორე; ყველას რომ ერთი და იგივე სახელი მოსწონდეს, მაშინ ხომ ყველას ერთი სახელი ერქმეოდა და ის თავის დანიშნულებას ვეღარც შეასრულებდა.

ჩვეულებრივ, ესა თუ ის სახელი იმიტომ მოგეწონს, რომ იგი მოგვაგონებს ჩვენთვის ძვირფას და საყვარელ ადამიანს, რომელსაც ეს სახელი ერქვა ან ახლა შექვია, — ისტორიული პიროვნება იქნება ის, მხატვრული ნაწარმოების გმირი თუ რომელიმე ჩვენი მეგობარი ან ნათესავი.

ერთი სიტყვით, სახელს ადამიანი მატებს ეშხსა და სილამაზეს. როცა ადამიანი თავს ისახელებს და ხალხის სიყვარულს მოიხვეჭს, მისი სახელიც სწრაფად ვრცელდება. მაგალითად, აკაკი და ვაჟა ერთი საუკუნის წინათ იშვიათად ერქვა ვინმეს საქართველოში, ახლა კი ეს სახელები ხშირად გვხვდება, რაც ჩვენი სასიქადულო პოეტების აკაკი წერეთლის და ვაჟა ფშაველას პატივისცემით აიხსნება.

სახელის გავრცელებას ხელს უწყობს აგრეთვე მხატვრული ნაწარმოები, რომლის სამაგალითო და საყვარელი გმირის სახელს ხშირად არქმევენ ბავშვებს. ასე გავრცელდა ჩვენში „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახელები: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტანი, თინათინი, ასმათი.

სახელის შერჩევისას გასათვალისწინებელია ისიც, თუ სადაურია ეს სახელი — ქართული თუ უცხოურ, რას ნიშნავს და როგორ ჟღერს ქართულად.

მოსაწონია სხარტი და კეთილმოვანი, ადვილად გამოსათქმელი და დასამახსოვრებელი სახელები, რომლებიც დიდი ხანია ხალხში გავრცელებული; და ცუდია ძნელი გამოსათქმელი, უცხო და უცნაური სახელები. მაგრამ ყველაზე ცუდი მაინც ის არის, თუ ადამიანი ცუდი საქმით არცხვეს კარგ სახელს.

ამჟამად ჩვენში გავრცელებული ბევრი სახელი წარმოშობით ქართული არ არის, შემოსულია სხვა ენებიდან, მაგრამ უკვე დიდი ხნის დამკვიდრებულია

საინჟინერო



ჩვენში და შეგუებული ქართული ენის ბუნებას. მავალია და გიორგი წარმოშობით ბერძნული სახელია და მინის დამამუშავებელს, მინათომომებს ნიშნავს. ეს სახელი ერქვა სხვადასხვა დროს თორმეტ ქართულ მეფეს. ცნობილი არიან აგრეთვე ძველი ქართველი მოღვაწე გიორგი მერჩულე, სარდალი გიორგი სააკაძე, მწერალი გიორგი წერეთელი, აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი და ბევრი სხვა გამოჩენილი პირივნება. ამიტომ ეს სახელი გიორგი ყველას მოსწონს და ახლად ბევრ ბავშვს არქმევენ. წარმოშობით ძველბერძნული სახელია და ვითი, ნიშნავს საყვარელს. უბრაულისა აგრეთვე თამარი (ფინიკის პალმა); ვახტანგი და რუსუდანი კი ირანული სახელებია. პირველი ნიშნავს მგლისტანიანს, მეორე — დღვარძელს.

ვახტანგი თავისი მნიშვნელობით დღეს შეიძლება მაინცდამაინც არ მოგენოთ ვინმეს, მაგრამ ამა გაიხსენოთ, რამდენ სახელოვან ადამიანს ერქვა ეს სახელი: ვახტანგ გორგასალი, რომელმაც თბილისი სატახტო ქალაქად აქცია, მეფე-მეობე ვახტანგ მეექვსე, რომელმაც სტამბა გამართა და „ვეფხისტყაოსანი“ პირველად დაბეჭდა; პოეტი ვახტანგ ორბელიანი, მეცნიერი ვახტანგ კობახიძე და ბევრი სხვა.

გვხვდება ფრინველებთან დაკავშირებული სახელებიც: ჩიტო, გველი, შოშიტა და სხვა. ბევრი სახელია წანარმოები ციურ მნათობთა აღნიშნული სიტყვებისაგან. ასეთებია ქართული სახელები შხია, მზექალა, შხიულა, მზეონა, მზეხა, მზეხაოთუნი, მზევი წარი, შხისადარი, მზეთამზე, ქალთამზე, პირიშხისა, ხვარამზე, შამამზე, მზეჭაბუკი, ანდა მთვარისა, პირმთვარისა, ბაგრი (საფხვ მოვარე).

დღეს იშვიათია ქართული სახელები ციხეკარა და ვარსკვლავისა, მაგრამ საქართველოში რამდენ გვხვდება იმავე მნიშვნელობის ქმრე ვერც ვა და ვთქვით.

სინათლის, ნათილის აღნიშნული სიტყვებისაგან არის წანარმოები: ნათელა, სანათა, ნათია, სვეტლანა, ელენე, კლარა, დუკა, ღამია.

იგიეთი თუ არა თქვენ, ანდროკოპო და არსენებო, რომ თქვენი სახელი მხნეს, მამავს ნიშნავს? თუ არ იცოდეთ, არა უშავს ამიერიდან იცოდეთ, რომ გამართლებული თქვენი სახელი!

ტარბილი გვირ მეფეს ნიშნავს, ავიანდილი — სამშობლის გულს. ადვლესანდრე ნიშნავს მამაც მცველს; აბექსი და აბექო იცველს.

ქარლი იგივეა, რაც წმინდა ქართული სახელები: კაცია, ვაჟა, ვაჟიკა, და ნიშნავს მამაკაცს. ჩვენი ყურნალის შემდეგ ნომრების კიდევ გაბეჭდვით ვაისა და ქალის ზოგი სახელის მნიშვნელობას.

პიიფხვითა ზეზაბა უმუხურამი

ინდური ზღაპარი

ერთმა ფადიმამმა თავისი მეზობელი ქვეყნის სულთანს სარუქრად გაუზავა სამი სრულიად ერთნაირი შესახედავი, ერთი ზომისა და ნონის ოქროს ქანდაკება და შეუთვალა: ესენი სხვადასხვა ღირებულებისანი არიან, და აბა, რომელი უფრო ძვირფასი, თუ გაიკვეთ.

ასეთი უცნაური საჩუქრის მიღებამ სულთანს ძლიერ გააკოცა, მასხურებს უმძიმანა ენახათ რაიმე განსხვავებას ქანდაკებებს შორის და მისთვის მოეხსენებინათ, მაგრამ მასხურებმა, დიდი ცდის მიუხედავად, ვერაიფარ განსხვავებას ვერ მიაგნეს.

სარუქრის ამბავი მიიღო ქალაქს მოედო, დიდი თუ პატარა, ყველა ამ ქანდაკებებზე ღაპარაკობდა. და აი, ციხეში მჯდომმა ერთმა ღარიბმა ყმანვილმა სულთანს შეუთვალა: ერთი დამანახვე ვე ქანდაკებები და ხელად მიუხედეში, რა განსხვავებაა მათ შორისო. სულთანმა ბრძანა, ყმანვილი სასახლეში მოეყვანათ, მოეტანათ ქანდაკებები და მის წინ დაედგათ. ყმანვილმა ყოველი მხრიდან დაათვალიერა ქანდაკებები და შეამჩნია, რომ სამივეს ყურები გახვრტილი ჰქონდა; ახლო ჩაიღის დერი და ყურში გაუყარა ერთ ქანდაკებას — დერის წვერი ქანდაკების პირიდან გამოიჭრა; ახლა მეორე ქანდაკებას გაუყარა ყურში ჩაიღის



ღერო და ღერომ ქანდაკების მეორე ყურიდან გამოყო წვერი. მესამე ქანდაკებას კი ჩაიღის ღერო მთლიანად მკერდში ჩაუვიდა.

მამინ ყმანვილმა მოახსენა სულთანს:

— თქვენი უდიდებულესობა! ქანდაკებები ადამიანებს შეგანან. პირველი იმ კაცს მაგონებს, ვინც მოჰყარავს თუ არა ყურს

რაიმე ამბავს, მამინვე ქვეყანას მოსდებს, ლყბობს. ასეთი ადამიანის ნდობა არ შეიძლება, ამიტომ ამ ქანდაკების ფასიც მკირვა.

მეორე ქანდაკება უფადოდ, ყუყუ და უსარგებლო ადამიანს მტავს, ცალი ყურით რომ ისმენ ამბავს, მამინებს შეგანან. პირველი იმ კაცს მაგონებს, ვინც მოჰყარავს თუ არა ყურს

ლაფერს, რასაც კი გაიკონებს, იმასხოვრებს, გულში იმარხავს. ამიტომ ყველაზე ძვირფასი ეს ქანდაკებაა.

სულთანი მეტად ეყაყოფილი დარჩა ყმანვილის პასუხით. ქანდაკებებს ღირებულების მიხედვით დაწერა ფასი და უკან გაუზავანა ფადიმას. ის ყმანვილი კი ციხიდან გამოშვა.



ბნინი მალაქამიძი

თოვს. მსუბუქად მოფარფატიბენ ფიფქები და უკვე შეჭალარავებულ მინაზე დედოფლურად სდებიან. ღამე თურთად იმოსება, ირთვება. რა კარგია ზამთარი!

გიოს საზე და ხელისგულები ფანჯარაზე მოუტყუებები. უჰ, რა კარგია! სულზე არ მოუსწრო ზამთარმა! ...მეტი რაღა უნდა ინატროს კაცმა ბაბუნავერებივით გაფინილი, უსურ ღამეში თურთად მოკაიფე ფიფქების ყირამალა ართობს, თავიკენ იზიდავს გიოს. მაინც რამდენი სახისა არიან, რამდენი ფორმისა. ნეტა ვინა ბერნავს, ვინა ქარავს ამ ფიფქებს? სამი ზამთარია თავი ახსოვს გიოს და სამი ზამთარი ფანტელებს სდია, მაგრამ ვერ იქნა და ვინ ვერ მოკლა, ფიფქები ვერ მოიშინა-ვირა. ახლა სადა წაუტელენი გაჩვენებთ თავს გიოს ბიჭი, დაიქვანა გულში და ისევ ფანჯარას გაეკრა. საიდან ჩნდებიან ნეტა? რაზე ჩურჩულებენ? რაზე იცინიან ფიფქები? მაგათთან თამაშს არაფერი სჯობს, თავბრუს დაგდავებენ, მაგრამ მერე სადაღა ქრებიან? ჩაგდებიან თოვლში და უჩინარდებიან. განა არა სძებნა? თოვლიც ბევრი ჰქვია და ყოველიც ბევრი ამტვრია, მაგრამ ვერა და ვერ მივგინო იმეთ კვლას და ვერ ამოხსნა ფიფქების საიდუმლო.

ფიფქების

მეტი რა ჩარაა, ფანტელებს მანამ უნდა დაჭერა, სანამ მოფოფინობენ, თორემ მერე ტყუილია, ვეღარ მოიხელები. გიო ლოკინიდან გადმოიძრა, ფათურ-ფაფხურით ტანისამოსი მოიძია. იცვამს, თან სიბილები უკანავებს... სულ ერთიანად გამოიკვანთა და გამოინასტა. თავზე ბომბორა ქუდი ჩამოიშო, პალტოს საყუდლო კინკრიბშიდე აუშვა და გარეთ გავიდა. აბა ზამთარი რისი ზამთარია, თუ გაყინული თითებით ფერდებში არ შეგიღიტინა? ანდა ის რა ღამეა, მხრებზე შიშის აბლაბუდა თუ არ მოგებურა? ჩვენი გიოც შედრკა. მაგრამ მალე გული გაიმბგრა, დაცხრა, დამშვიდდა და ისევ ცას ახედა. ფანტელები ცერად მონარანებენ, მხარებზე ბლუჯა-ბლუჯა ყურებიან, სახის სასაიცილოდ უღოკავებს გიოს. ისიც გაიტრუნა. ცალი ხელით ცხვირ-პირი მოიკვეთა, მეორე ფიფქებს შეაგება. მერე ნაბიჯიც ნაგდა, ახლა მეორე, მესამე... მისცივ ფანტელებს ხელგანწვდილი, ისინი კი სიცოც-ისკოსით გაურბიან, ხელში უქრებიან. გული წდებია, მაგრამ არ იჩნწევს, ისევ ჯიქურ ეტანება. ბოლოს დაიღალა, შედგა. ყველმაც გორგალი გაეჩხირა, არც აქეთ — არც იქით... უმცოდნათ ფანტელებს ბიჭი, შემოხვივნენ, შემოურცნენ,



სანიღუმლო

მაგარი ნანა სულმინაშვილი

თამაში და ლიცილიც გაუბეს. გიო არ დაჰყვა, გაიბუტა, მაგრამ ყურები კი ცქციტა, აბა, რას მიტყვიანო. ფიფქები ერთმანეთს გადაძახებში გართულან: ჰეი, ბიჭო ფიფქია, ნამქერა და ტაკცუნა ცუდი საქმე გექონა, გაგვებუტა კაცუნა... ესიამოვნა გიოს ფიფქების სიტყვები, წყენაზე მალამოდ დაედო. რახან ასეთ, შვე ჯემსას ვეტყვიო, გაიფიქრა: — სად მიპქრებიართ, სად მიჩქართით! აზოდნა ხანი გელოდეთ და ნუსიგრადაც აღარ უნდა შეჩვენოთ? — უსაყვედურა. იმათ ერთხანს იყურეს, თითქოს რაღაცნაირად მოინყინეს... მერე კი გუნდოდ უპასუხეს:

— ნამი არის ფიფქის ცვენა და ნამ-ნამი სიცოცხლე, თოვლად უნდა ვიქცეთ ყველა, ნუ გვიწყრები — იცოდე!

აი თურმე რა ყოფილა. მამ უნდა გაქრენ, დაიღუპონ? ვამბე, ვამბე! დაღონდა გიო, თვალში ცრემლით აკესო. ქუდი მოიძრო და ფიფქებს ასძახა: — აღარ ჩამოხვიდით, აღარ. მინდ დარჩით. არ მინდა თოვლი — და გული ამოუჯდა. — არ მინდაა — ტირის გიო, ცრემლად იღვრება პატარა გული, უმწყო

ბოლმა გარეთ მოხიბეთავს, გაბუტულ სახეზე მოლაბლაპებს და თოვლზე იწირებდა. ფიფქები კი ვითომც არაფერიო, ცქრიალ-წკრიალით მოფარფატიბენ, ნადევს საახალწლოდ კაზმავენ, დედამინას ფაფუც, თბილ საბანს უქსოვენ და... ქრებიან. — არ მინდა თოვლი — ლულულებს გიო სანყლად. რა ილონოს, რა ქნას. ან ვის ედარდება და ან ვის ეყურება მისი. შინსიკენ გამომბრუნდა, შემოალო კარები, ოთახში შემოაბოტა. ლასლასით მიმართა ლოგინს და მიცემო... — ადე ბიჭო, ქვეყანა გართაა გაფინილი, თოვლი მოვიდა, თოვლი! — ტბოლად უცინის დედა და თბილ ხელისგულს ქოჩორზე უსვამს. გიო ზანტად იწევს, უხასიათოდ იცვამს, სულაც არ ეთოვლებს. მაგრამ მაინც გაეპარა თვალი ფანჯრისკენ და შოი საოცრებაე მზით აბრჭყვიალებული თოვლიდან უთვალავი ფანტელი უცინის და თვალს უკრავს, სათამაშოდ ეპატრება გიოს. ყველანიც იქ არიან: ფიფქია, ნამქერა, ტაკცუნა, ფაფარა და უამრავი კიდევ სხვა. — დედიკოო, თოვლი კი არა, ეს ფიფქები მოვიდნენ! — იცინის გაბრწყინებული გიო და გული სიხარულით ეცება.

კპირა დილით, ადგა თუ არა გია, შენიშნა: ფანჯრიდან ხის კენწერო აღარ მოჩანდა.

— ვაი! — წამოიძახა გაცეცხლებულმა და ფანჯრიდან გადაიხედა. პირველ სართულზე მცხოვრებ ძია ალუას ძირში მოეხერხა ხე და მინაზე გაშხლართულს ტოტებს აჭრიდა.

გია სამზარეულოში მოფუსფუსე დედას მივარდა: — დედიკო, რა ცუდი კაცი ყოფილა ძია ალუა!

— რატომ შეილო, ამ ხნის კაცზე როგორ შეიძლება ამის თქმა!

— აბა ცუდი მართო პატარა შეიძლება იყოს?

დედამ პასუხი დააყოვნა, მერე თითქოს ნაძალადეკად ჩაილაპარაკა:

— რა თქმა უნდა, არიან დიდებიც, მაგრამ...

— ჰოდა, მამ ნახე, რა უქნია, — ხელი მაჯაზე ჩაავლო და მეორე ოთახში გაიყვანა გიამ დედა.

— გაიხედე ფანჯრიდან! დედა რაფას ხელით დაეყრდნო, გადაიხარა...

— ეს რა უქნია! — აღმოხდა მას.


— ძია ალუა, რატომ მოჭერი ნაძვის ხე? — წყრომით გადასძახა გიამ ზემოდას.

— შენ ვილასი ტიკი-ტიკი-მარა ხარ!? — ამოსძახა ალუამ ამრებით.

გიას დედა წამოუნთო.

— ცოტა დაფიქრდით და ისე უპასუხეთ ბავშვს, ალუა ბატონო! — გადასძახა.

ამასობაში ზემო სართულის სხვა მობინადრეებმაც გადმოიხედეს... ზოგმა ის თქვა, ზოგმა ეს, ზოგმა სკერთოდ გაჩუმება არჩია, ხელიც ჩაიქნია და ფანჯარა მიხურა — ნე-



საჩუხისი

ავანო კონჯარიანი

ტავი თქვენ, მეტი საქმე არა ვაქვითო...

ერთმა ისიც კი თქვა, რა მოხდა, ხე მოჭრა, კაცი ხომ არ მოუკლავსო...

— აბა ევა თქვი, — ჩაიბურღლუნა გამოქომაგებით გათამამებულმა ალუამ, — ოთახს მიბნელებდა

და მოჭერი, მამა! — თქვენ ერთი ძირიც არ დაგირგავთ, ძია ალუა, ჩრდილში კი გიყვართ დომინოს ხათუნნი... — შეეპალუხა გია.

დედა გაუნყრა — შენ რა იცი ვინ დარგო, ვინ არაო.

— ვიცი დედიკო; მამიკომ, ძია ლეომ, შალვამ დარგეს. — მიაყრა. ალუა ყანაში ნაჯაფი კაცივით წელში გაიმართა და ამოსძახა:

— ჰო! რა გრძელი ენა გაქვს გია, როგორ არა გრცხვენიო...

— ჰმ! — მე უნდა მრცხვენოდეს თუ თქვენ? — მხრები აიჩეჩა გიამ, ფანჯარას მოშორდა, წინა ოთახში ტელეფონთან მივიდა და ნომერი აკრიფა.

— მილოციაა?... რამდენიმე წუთიც და სახლის გვერდით მანქანა გაჩერდა, იქიდან ორი მილიციელი გადმოვიდა... ალუას თავზე დაადგნენ.

ალუამ მეორე სართულზე მაცხოვრებელი ერთ-ერთი მეზობლის ფანჯარას ახედა, მასთან ნაჩხუბარი იყო და იფიქრა ალბათ ის დამაბეზლებდათო...

— ყოჩაღ ანთიმოზა... შენ დარეკე მილიციაში, ხომ?..

— ანთიმოზა კი არა, მე დავრეკე, მე! — გადმოსძახა გიამ.

— მოქალაქე, რა უფლებით მოჭერთ ხე?... — გაეჭიბა ამ დროს ძია ალუას მილიციის მუშაკი.

ალუა ჭარხალივით განითლდა და რაღაც ჩიბურღლუნა.

— წამობრძანდით, იქ ვილაპარაკოთ, — მილიციელმა თავისი მანქანისკენ მიუთითა...



ქ ს ზ უ ჯ ც ე ი

შეკითხვა

შოთა ამირანაშვილი

საკრავი არის იგი, მწამს, გამოიცნობ წამში: მას რომ უწყალოდ სცემენ, სხეები ცეკვავენ მაშინ.

მესამე ბერის ნაცულად თუკი სხვა ასოს ჩართავ, სახეობაა სპორტის, ვაჟაკურია მართლაც.

რ ა დ რ თ ა ?

აკროსტიკი

ზღარბი გარბის ვაშლისათვის არწივი ჯიხვს ზეგრაგს კლდეზე, მგელი თვლებს აბრილებს, თხას დაეძებს, ციყვს დაეძებს. არჩევთ გარეთ გამოსულა რქებით ჩიჩქნის მუხის ძირში, იაც არ ჩანს სუსხის შიშით.

კოტე ავალიშვილი

ჯინს ვასკუჯი

კაჭკაჭი კუნელსა კენკავს, ძირს კრიახებენ კრუნებო: — თუ კუნელს არ მინეგაკარებ, ჩამოგეყვარე კურკები.

აკროსტიკი: ლუკი, რომლის სტრიქონთა თანმიღობითაც ჩაიხეი შედგენენ სიტყვას ან წინადადებას.

შუანხ სხალთსუიშვილი

მგლები და მწვრტები

ამოცანა

გალიაში ჩაგამწყვდევი ხული მგელი, სამიც ცნვარი.

დილით გალიას შევხედე, საქმე ვნახე საოცარი.

აბა, კარგად მოიფიქრე, პასუხი ისე მითხარი:

სულ რამდენი დამხვდებოდა ორიც ერთად: მგელი, ცნვარი?!

საქართველოს
აღმკ.გა-ისა
და 3. ი. ლენინის
სახელმწიფო
პრინციპთა
ოტბანიზაციის
განკურთხევის
საბჭოს
შუანხალი
შეკითხვა-
ხელმეტივის

ქდაპე ნახატი ელჟარდ ამბოკაძისა

შთავარი რედაქტორი მ შ ს რ ა ნ მ ბ ა ვ ა რ ი ა ნ ი

სარედაქციო კოლეგია: ელჟარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, ავაშირ თოპიაშვილი, სოლომონ ლ. მურხანაშვილი, ლილია ვრამი, ჯურაბ ლუვაშელი (პ. მ. შიგინი), მანანა კობახიძე, გელა ლოსაძე, რიკა, მავალა მკვიდრუშვილი, ჯურან ნაშვირამი, ბიურკი რთინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), გივი ქვალაძე, მერი ვილაშვილი, გივი ვივიანაძე.

უწყვეტილი კლე წერიტო

მთავართი რედაქცია, განმეტივობის, ტბამს — ბიბლია, ჟენის, 14 კლ. ში. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-19; კლე მღვიმე — 93-41-30, 93-98-19, აბი. რედაქტორის — 93-98-18, კარესი 93-10-32, 93-98-19, 93-98-16

ვლდეცე სსაშობავ 9/XI-81 წ. ზელმწერილობა ვასბეჯად 6/1 32 წ. ელალის ზომს 61X90, ფიზ. ნებ. ფურც. 28, ტირაჟი 167.550. შეჯ. № 3059 „Диаз“ № 1. „журнал для младшеклассников, на грузинском языке. Главный редактор М. Мачавариანი. Тбилиси, ул. Лескина 14. Цена 20 ლ

გამცემის
ნაე ვალო
საქ. კ. ც. კ. ა.
გამმეტივობა
Издательство
ЦК КП Грузии

6 92/12.



თანამედროვე საბჭოთა ავტომობილები



„ზაპოროჟეცი“ — გაზ 966.




„მოსკვიჩი“ — 412.



„შკოლნიკი“ — გაზ 2108.



გაზ 3102.



ლადა 225.



„ვოლგა“ — გაზ 2402. უნივერსალის ტიპი.



„ვოლგა“ — გაზ 24, სელანის ტიპის კარბათი.



უამბონი (ლია კარიანი) — უაზ 489.



ლიაპუნინი — ზილ 114.